პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 28 (4538)

1972 წ. 9 თებერვალი, ოთხშაბათი.

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

SAPPORO'72

*ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ნ. ბუზუზაშვილი საპოროდან ტელეფონით გვატყობინებს:*



## სარბიელზე — გრაციები

მომხიბვლელი ფიგურისტი ქალები თავგამოდებით იბრძოდნენ, რომ ოღნავ მაინც დასწეოდნენ „სკოლის" ყველაზე გულმოდგინე შემსრულებელს, მსოფლიო ჩემპიონს ბ. შუბას. მაგრამ შეჯიბრების სისტემამ, რომელსაც დიდი დღე აღარ უწერია (რამდენიმე თვეში შეიცვლება), ავსტრიელ სპორტსმენს ლიდერობა შეუნარჩუნა.

ნებისმიერი კომპოზიციის შესრულების დროს განსაკუთრებით გამოირჩეოდა ამერიკელი ფიგურისტი ჯ. ლინი. მას ერთი უმაღლესი შეფასებაც ხვდა — 6,0. ლინმა თავისი ლამაზი „სიმღერით" საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხური დაიკავა. კანადელ კ. მაგნუსენს ვერცხლის მედალი ხვდა ძალისა და სისწრაფისთვის. ს. მორგენშტერნი (გდრ) ამ საღამოს მესამე იყო, მაგრამ საერთო შედეგებით წინ გაუშვა ამერიკელი ჯ. ჰოლმსი და უნგრელი ჟ. ალმაში.

თავად შუბა მშვიდად, სამეფო ხომალდივით ამაყად დასრიალებდა ყინულზე. მაინცდამაინც არ სიამოვნებდა ნახტომის გაკეთება, რისკენაც საერთოდაც არ მიუწევს გული...

მაკომანაის სპორტის სასახლეში თავმოყრილ მაყურებელთა ტაში დაიმსახურა 13 წლის მოსკოველმა მ. საიამაც, მან სუფთად შეასრულა თავისი პროგრამა, რომელშიც შედიოდა ნახტომი 2,5 ბრუნით. მარინემ ცხრილის ბოლო სტრიქონიდან ერთი საფეხურით მაღლა გადაინაცვლა — 2198,6 (160). ეჭვი არ არის, საპოროს გაკვეთილები მას ძალიან გამოადგება.



ბ. შუბა

# ოლიმპიადა, დღე მეექვსე

### სასროლეთი... თეთრ საბურველში

**საპორო, 8 თებერვალი.** „თეთრი ოლიმპიადის" მეექვსე დღეზე საუბრის დაწყება ბიატლონისტთა შეჯიბრებით გვსურდა — მათ ხომ დღეს დილით 20 კილომეტრზე რბოლით უნდა დაეწყოთ ტურნირი. მაგრამ აილო თუ არა სტარტი პირველმა მონაწილემ, უჩვეულო თოვა დაიწყო, რომელმაც სასროლეთი თეთრ საბურველში გაახვია. ამიტომ ბიატლონისტთა ტურნირის ჟიურიმ გადაწყვიტა ტრასიდან დაებრუნებინა სპორტსმენები და შეჯიბრება ხვალისთვის გადაედო. ასეთი რამ ბიატლონისტთა დიდი შეჯიბრებების ისტორიაში პირველად მოხდა.

### ისევ ნადიგი!

მხოლოდ შუადღისას, როცა ქარბუქი ცოტა ჩაცხრა, სტარტზე გამოვიდნენ გიგანტური სლალომის მონაწილე სპორტსმენი ქალები, რომელთაც 1240-მეტრიანი ტრასა (სიმაღლეთა სხვაობა — 357 მ, 51 კარი) უნდა გაევლოთ. ამ შეჯიბრებამ ტრიუმფი კვლავ შვეიცარიელ მ.-ტ. ნადიგს მოუტანა: იგი აქ ჩამოსულ ქალთა შორის პირველი აღმოჩნდა, ვინც მეორე ოლიმპიური ოქროს მედალი მოიხვეჭა. საპორომდე ნაკლებად ცნობილმა სამთომოთხილამურემ, 17 წლის ნადიგმა შესანიშნავად გაართვა თავი რთულ ტრასას და ისევ აჯობა მსოფლიო თასის მფლობელს, სახელგანთქმულ ა. პროილს, რომელიც ვერცხლს დასჯერდა. ბრინჯაოს მედალიც ავსტრიელ სპორტსმენს ხვდა, ესაა ვ. დრექსელი.

საბჭოთა სპორტსმენები უხეიროდ გამოვიდნენ. აი, მათი ადგილები: 31. ს. ისაკოვა — 1.40,20, 33. ნ. მეკრკულოვა — 1.41,18, 34. გ. შიხოვა — 1.43,74. (ჩვენ წინა ნომერში არ გამოგვიქვეყნებია ვაჟთა სწრაფდაშვებაში მოასპარეზე ლენინგრადელი ს. გრიშჩენკოს შედეგი. მან 46-ე ადგილი დაიკავა — 2.03,19. — რედ.).

### ნახაზები ყინულზე

ვიდრე მოთხილამურეები სტიქიას ებრძოდნენ, ყინულის სპორტის სასახლის მყუდროებაში პირველ სამ ფიგურას აუჩქარებლად ხაზავდნენ სავალდებულო პროგრამით მოასპარეზე ვაჟები. ჯერჯერობით წინაა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ო. ნეპელა (ჩეხოსლოვაკია), რომელსაც 502,7 ქულა აქვს. მას მიჰყვებიან ფრანგი პ. პერა (484,4) და მოსკოველი ს. ჩეტვერუხინი (476,5). ოლიმპიური შეჯიბრების დებიუტანტი, მოსკოველი ჯ. კოვალიოვი VIII ადგილზეა (437,2). გაცილებით უარესად აქვს საქმე ლენინგრადელ ი. ოვჩინიკოვს — XV ადგილი (409,6) 17 მონაწილეს შორის.

# ყინულის მოედანზე

**საპორო, 7 თებერვალი.** საუკეთესო ექვსეულის წარმომადგენლებმა — ფინეთისა და პოლონეთის ჰოკეისტთა ნაკრებმა გუნდებმა დღევანდელი დღის ბოლო მატჩი გაითამაშეს. გაიმარჯვეს ფინელებმა — 5:1. შაიბები გაიტანეს: ფინელთაგან — რანტასილამ, ე. პელტონენმა (2-2), კეტოლამ, პოლონელთაგან — ტოკარჟმა.

**საპორო, 8 თებერვალი.** ამერიკელებთან დამარცხების შემდეგ ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა გუნდმა ფინელებზე იყარა ჯავრი — ანგარიშით 7:1 სძლია მეტოქეს.



ფინელებს აკლდათ საუკეთესო მცველი რანტასილა, რომელიც ორ მატჩს დისკვალიფიკირებული ... შაბათს დაშავდა. ამიტომ ისინი დაცვაში ორი დუეტით თამაშობდნენ, რამაც მეორე და მესამე პერიოდებში იჩინა თავი.

შაიბები გაიტანეს: გამარჯვებულთაგან — კოხტამ, ჩერნიმ, გლინკამ, ირჟი ხოლიკმა, იან ხოლიკმა, მარტინეცმა, პოსპიშილმა, დამარცხებულთაგან — იარნმა.

„ა" ჯგუფში უკვე ჩატარდა 7 მატჩი 15-დან. წინ არიან ჩეხოსლოვაკიელები — 4 ქულა სამი მატჩის შემდეგ. ორ-ორი მატჩის შემდეგ 3-3 ქულა დაუგროვდათ სსრ კავშირისა და შვეციის ნაკრებ გუნდებს. ამერიკელებსა და ფინელებს 2-2 ქულა აქვთ, პოლონელებმა კი ორივე მატჩი წააგეს.

## ტექნიკური შედეგები

### 7 თებერვალი

ფიგურული ციგურაობა. ქალები.

1. ბეატრის შუბა (ავსტრია) — 2751,5 ქულა (ადგილების ჯამი — 9), 2. კარენ მაგნუსენი (კანადა) — 2673,2 (23), 3. ჯანეტ ლინი — 2663,1 (27), 4. ჯულია ჰოლმსი (ორივე — აშშ) — 2627,0 (39), 5. ჟუჟა ალმაში (უნგრეთი) — 2592,4 (47), 6. სონია მორგენშტერნი (გდრ) — 2579,4 (63).

ერთადგილიანი ციგებით სწრაფდაშვება. ქალები.

1. ა.-მ. მიულერი — 2.59,18 (ოთხი სერიის ჯამი), 2. უ. რიუროლდი — 2.59,49, 3. მ. შუმანი (სამივე — გდრ) — 2.59,54, 4. ე. დემლეიაიტნერი (გფრ) — 3.00,80, 5. ი. ოტაკა (იაპონია) — 3.00,88, 6. ზ. მარტიკა (პოლონეთი) — 3.02,33.

ერთადგილიანი ციგებით სწრაფდაშვება. ვაჟები.

1. შაიდელი — 3.27,58, (ოთხი სერიის ჯამი), 2. ერიგი — 3.28,39, 3. ფიდლერი — 3.28,73, 4. ბონსაკი (ყველა — გდრ) — 3.29,16, 5. ნაგენრაუფტი — 3.29,67, 6. ფენდტი (ორივე — გფრ) — 3.30,03.

### 8 თებერვალი

გიგანტური სლალომი. ქალები.

1. მარი-ტერეზ ნადიგი (შვეიცარია) — 1.29,90, 2. ანემარი პროილი — 1.30,75, 3. ვილტრუდ დრექსელი (ორივე — ავსტრია) — 1.32,35, 4. ლაური კრეინერი (კანადა) — 1.32,48, 5. როზი მპაისერი (გფრ) — 1.32,56, 6. ფლორანს სტიურიე (საფრანგეთი) — 1.32,59.

# მედლები, ადგილები, ქულები

(არაოფიციალური გუნდური ჩათვლა)

მდგომარეობა 8 თებერვლისთვის

| ქვეყანა | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | IV | V | VI | მედლების ჯამი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გდრ | 3 | 2 | 3 | 1 | — | 2 | 8 | 48 |
| 2. ნორვეგია | — | 3 | 4 | 3 | 2 | 1 | 7 | 45 |
| 3. სსრ კავშირი | 2 | 2 | 1 | 1 | 2 | 2 | 5 | 37 |
| 4. ჰოლანდია | 3 | 1 | — | 1 | 1 | 1 | 4 | 32 |
| 5. გფრ | 2 | 1 | — | 1 | 3 | 2 | 3 | 30 |
| 6. შვეიცარია | 2 | 1 | 1 | 1 | — | 1 | 4 | 27 |
| 7. შვეცია | 1 | 1 | 1 | 2 | — | 2 | 3 | 24 |
| 8-9. იაპონია | 1 | 1 | 1 | — | 2 | — | 3 | 20 |
| 8-9. ფინეთი | — | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | 2 | 20 |
| 10. ავსტრია | 1 | 1 | 1 | — | — | — | 3 | 16 |
| 11. აშშ | — | — | 2 | 1 | — | — | 2 | 11 |
| 12. კანადა | — | 1 | — | — | — | — | 1 | 5 |
| 13-15. იტალია | — | — | — | 1 | — | — | — | 3 |
| 13-15. საფრანგეთი | — | — | — | 1 | — | — | — | 3 |
| 13-15. ჩეხოსლოვაკია | — | — | — | — | 1 | 1 | — | 3 |
| 16-18. პოლონეთი | — | — | — | — | — | 2 | — | 2 |
| 16-18. რუმინეთი | — | — | — | — | 1 | — | — | 2 |
| 16-18. უნგრეთი | — | — | — | — | 1 | — | — | 2 |

## სალი ჭიკი — 72

● **მინსკი, 7 თებერვალი.** აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება წყალში ხტომაში. 10-მეტრიანი კოშკიდან შეჯიბრებაში გაიმარჯვა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონმა, კიეველმა თ. სარქისოვამ. ვაჟთა შორის ტოლი არ ჰყავდა ვოლგოგრადელ ვ. კაპირულინს. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში თასი დაისაკუთრა ლვოველმა ტ. შტირიოვამ, ხოლო ვაჟთა შორის უძლიერესი იყო მოსკოველი ვ. ვასინი.

● **რეიკიავიკი, 7 თებერვალი.** ისლანდიის დედაქალაქში სტარტი აიღო მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც მონაწილეობენ დიდოსტატები ლ. შტეინი, ვ. ტუკმაკოვი (ორივე — სსრ კავშირი), ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), ფ. გეორგიუ (რუმინეთი) და ფ. ოლაფსონი (ისლანდია). I ტურში შტეინი ინგლისელ რ. კინს დაუზავდა, ტუკმაკოვმა კი ერთ-ერთ მასპინძელს ი. კრისტიანსონს სძლია. საერთაშორისო ოსტატმა უ. ანდერსონმა (შვეცია), რომელიც დიდოსტატის წოდებაზე ოცნებობს, გადადო პარტია ჰოლანდიელ ი. ტიმანთან.

### სპორტის წინსვლისთვის

**ბელგრადი, 7 თებერვალი.** აქ ხელი მოაწერეს შეთანხმებას სპორტული თანამშრომლობის დარგში იუგოსლავიასა და კუბას შორის. ეს ქვეყნები ერთმანეთში გაცვლიან სპორტულ დელეგაციებს და სპორტსმენებს. იუგოსლავიას ეწვევიან კუბის ეროვნული ნაკრები გუნდები — სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები.

### ერთმა ბურთმა გადაწყვიტა

**გლაზგო, 7 თებერვალი.** კიევის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი აქ გამართულ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში დამარცხდა ადგილობრივ „სელტიკთან" — 0:1. ეს ერთადერთი ბურთი რუდაკოვის კარში მე-15 წუთზე გაიტანა შოტლანდიელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა დალგლიშმა.

შემდეგ მატჩში კიეველები ინგლისის „შეფილდ იუნაიტედს" ეთამაშებიან.



# საციგაო ტრასაზე

გდრ-ის მოციგავეებმა 7 თებერვალს კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მსოფლიოში უძლიერესნი არიან. ქალთა შეჯიბრებაში ერთადგილიანი ციგებით I ადგილი დაიკავა ა.-მ. მიულერმა. ტრასის გავლას (სიგრძე — 800 მ, სიმაღლეთა სხვაობა — 78 მ) მან ოთხ სერიაში 2 წუთი და 59,18 წამი მოანდომა. II და III ადგილებზე იყვნენ მიულერის თანამემამულეები უ. რიუროლდი (2.59,49) და მ. შუმანი (2.59,54).

საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო იყო მოსკოველი ნ. შაშკოვა — XII ადგილი (3.04,38). ლენინგრადელებმა ნ. იგნატიევამ და ნ. ომშევამ XVII და XX (ბოლო) ადგილები დაიკავეს.

ვაჟთა შეჯიბრების ყველა პრიზიორიც გდრ-ის წარმომადგენელია. ოქროს მედალი დაისაკუთრა ვ. შაიდელმა — 3.27,58 (ოთხ სერიაში). ჰ. ერიგმა და ვ. ფიდლერმა იმავე, 1030-მეტრიანი ტრასის გავლას 3.28,39 და 3.28,73 მოანდომეს.

ლენინგრადელებმა ი. ევგროვმა და ხ. ოსიპოვმა 29-ე და 33-ე ადგილები დაიკავეს. მოსკოველი ა. სვეტიკოვი 41-ე ადგილზე დარჩა (3.43,69) და სამი მონაწილე ჩამოიტოვა.

საბჭოთა სპორტსმენთა ასეთი მოკრძალებული შედეგები მოულოდნელი არ იყო, ვინაიდან სსრ კავშირში ეს სახეობა სულ ახლახან დაინერგა.

— ჩვენ ჯერჯერობით ძალიან სუსტად ვართ დაუფლებული ციგის მართვის ტექნიკას, — ამბობენ თვითონ სპორტსმენები. — გამოცდილება არა გვაქვს, საწვრთნელი ტრასებიც გვაკლია...

10 თებერვალს გაიმართება შეჯიბრება ორადგილიანი ციგებით.

ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ — ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲐᲯᲝᲖᲔ

# ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘᲪ ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲘ!



შუაღამეს გადაცილებული იყო, როცა თელავის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების გამომძიებელმა ვასილ ფეტვიაშვილმა სამუშაოდან შინ წასვლა დააპირა. ამ დროს განყოფილებაში რაიონის საავადმყოფოდან დარეკეს: მუცლის არეში მძიმედ დაჭრილი ახალგაზრდა მოიყვანესო. გამომძიებელმა, რა თქმა უნდა, არ დააყოვნა და მაშინვე ინახულა სასიკვდილოდ განწირული — თელავის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლე, ახმეტელი თ. ტურაშვილი. დაჭრილის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო და, ცხადია, მან ვერაფერი თქვა მომხდარ ამბავზე.

სასწრაფოდ შედგა ოპერატიული ჯგუფი ვ. ფეტვიაშვილისა და სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ინსპექტორის ქ. მარადიშვილის ხელმძღვანელობით. ჯგუფმა დაადგინა შემთხვევის ადგილი, გულდასმით დათვალიერების შემდეგ კი კვალსაც მიაგნო. ოპერატიულ მუშაკებს სამი დღე-ღამის განმავლობაში მოსვენება არ ჰქონდათ, მაგრამ ბოლოს მაინც დაადგინეს დამნაშავის ვინაობა. ბოროტმოქმედი აღმოჩნდა თელავის მკვიდრი არკადი არჩილის ძე ტოროლაშვილი. დამნაშავემ ყველაფერი აღიარა და ფეტვიაშვილმაც გამოძიების ფურცელი უტყუარი მასალებით შეავსო...

30 წლის გამომძიებელი სამაგალითოა არა მარტო სამსახურში, არამედ პირად ცხოვრებაშიც, ოჯახშიც. ამავე დროს იგი დიდი პატივისცემით სარგებლობს ქართველ მოჭიდავეთა შორის.

საყვარელ სპორტს — ქართულ ჭიდაობას ვ. ფეტვიაშვილი თელავის რაიონის სოფელ ფშაველში eზიარა. აქ ადევნებდა თვალს უფროსების შერკინებას, აქ ეჭიდავებოდა თანატოლებს და სწორედ აქ აღეძრა პირველად რეგულარული წვრთნის სურვილი. იგი ახოვანი, ღონიერი ჭაბუკი იყო და თანატოლებს უმთავრესად ძალით უძლევდებოდა. მერე კი საჭიდაო ჩოხის ჩაცმა გადაწყვიტა. თანასოფლელები ერთხანს ხუმრობდნენ: რაჩან ფეტვიაანთ ბალღმა ჩოხა ჩაიცვა, წინ ვერავინ დაუდგებაო.

16 წლის არც კი იყო, როცა თელავის რაიონის პირველობა მოიგო ქართულ ჭიდაობაში უფროსებს შორის, მერე კი კახეთის ჩემპიონი გახდა. სწორედ აქ უწოდეს კისრულის უბადლო ოსტატი.

17 წლისამ დაამთავრა სოფლის საშუალო სკოლა და სწავლის გასაგრძელებლად თბილისში ჩამოვიდა.

სპორტის სიყვარულმა ვასილ ფეტვიაშვილი ფიზკულტურის ინსტიტუტში მიიყვანა. აქვე დაიწყო გულმოდგინე ვარჯიში ჩვენი სახელოვანი ფალავნის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. ბალავაძის ხელმძღვანელობით და სულ მალე დაოსტატდა თავისუფალ ჭიდაობაში. იგი არაერთხელ იყო თბილისის ჩემპიონი, შემდეგ რესპუბლიკის ჩემპიონი. მოსკოვში ფეტვიაშვილმა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა მოიგო, რისთვისაც ჩვენს სახელოვან მოჭიდავეებთან ვ. რუბაშვილთან, გ. სალარაძესთან და ზ. ბერიაშვილთან ერთად ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანეს.

ნიჭიერმა ახალგაზრდამ წარჩინებით დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი და მერე უნივერსიტეტს მიაკითხა იურიდიული მეცნიერების შესასწავლად. ამავე დროს მონდომებით ვარჯიშობდა სამბოში სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ბ. მაზიაშვილის ხელმძღვანელობით. 1962 წელს ნიჭიერი სამბისტი რესპუბლიკის ნაკრების წევრი გახდა და მონაწილეობა მიიღო კიშინიოვში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში. დებიუტი დიდ სარბიელზე წარმატებით აღინიშნა: ახალბედამ მხოლოდ ფინალში წააგო შეხვედრა სამბოს ცნობილ ოსტატთან, კიეველ ა. ბონდარენკოსთან და ვერცხლის მედალს დაეპატრონა. ვ. ფეტვიაშვილის კოლექციას ამშვენებს რესპუბლიკის ხუთგზის ჩემპიონის სიგელები და საკავშირო პირველობათა ბევრი ჯილდო.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ფეტვიაშვილი მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა — თელავის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში გამომძიებლად დაიწყო მუშაობა. ფეტვიაშვილმა წარმატებით ჩაატარა რამდენიმე პასუხსაგები ოპერაცია. იგი ებრძვის თაღლითებს, ხულიგნებს, სოციალისტური ქონების დამტაცებლებს, ავტოხულიგნებს და სხვა ბოროტმოქმედთ, რომლებიც საბჭოთა კანონების საპართლიანობას ხელყოფენ.

თელავის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების გამომძიებელი, სპორტის ოსტატი სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში ვ. ფეტვიაშვილი უკვე ხუთი წელია ერთგულად დგას წესრიგის სადარაჯოზე. იგი სპორტს არც ახლა ივიწყებს — განყოფილების მუშაკებს ხალისით ასწავლის სამბოს და რაიონის ნაკრებ გუნდსაც თავკაცობს.

ვ. ქობელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

თელავი.

* * *

სურათზე: ვ. ფეტვიაშვილი.

## ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ

აქ გაიმართა XX საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფრენბურთელ გოგონათა შორის. I ადგილი დაისაკუთრეს მე-9 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, II ადგილზე გავიდა მე-3 საშუალო სკოლის გუნდი, III — სკოლა-ინტერნატის ნაკრები.

რ. ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ.

## ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ

სოფელ ჭოლის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მოჭადრაკეებმა და მოშაშეებმა ამას წინათ თავიანთ სასოფლო კლუბში გამართეს შეჯიბრება, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიუძღვნეს. მოჭადრაკეთა ტურნირში ყველას აჯობა შ. მარკოზიამ — 11,5 ქულა 14-დან. II ადგილზეა ვ. ახალაია — 10, III — შ. ბერულავა — 9,5. მოშაშეთა შორისაც გაიმარჯვა მარკოზიამ — 13 ქულა 14-დან. მეორე იყო ე. ქარჩავა — 11 ქულა, მესამე — ახალაია — 10.

ს. ᲯᲐᲚᲐᲚᲝᲜᲘᲐ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ



## ᲑᲝᲚᲝ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

კიევსა და მოსკოვში გუშინწინ შედგა პირველი წრის ბოლო მატჩები.

კიევი. ადგილობრივმა „სტროიტელმა" თბილისის „ბურევესტნიკს" უმასპინძლა. გაიმარჯვეს კიეველებმა — 76:68 (36:28).

მოსკოვი. ადგილობრივმა დინამოელებმა ანგარიშით 85:70 (41:29) დაამარცხეს ტარტუს „კალევი" და საგრძნობლად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა.

### ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა I წრის შემდეგ

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ" (ლენინგრადი) | 9 | 9 | 0 | 653—571 | 9 |
| ᲪᲡᲙᲐ | 9 | 8 | 1 | 772—604 | 8 |
| „ᲡᲢᲠᲝᲘᲢᲔᲚᲘ" (კიევი) | 9 | 5 | 4 | 652—599 | 5 |
| „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (მოსკოვი) | 9 | 5 | 4 | 707—690 | 5 |
| „ᲙᲐᲚᲔᲕᲘ" (ტარტუ) | 9 | 5 | 4 | 662—661 | 5 |
| „ᲨᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲘ" (კაუნასი) | 9 | 4 | 5 | 696—684 | 4 |
| „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (თბილისი) | 9 | 4 | 5 | 647—709 | 4 |
| ᲐᲡᲙ (კიევი) | 9 | 3 | 6 | 608—668 | 3 |
| „ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ" (თბილისი) | 9 | 2 | 7 | 603—670 | 2 |
| „ᲡᲢᲐᲢᲘᲑᲐ" (ვილნიუსი) | 9 | 0 | 9 | 609—768 | 0 |

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲝᲫᲛᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲨᲘ

## ᲛᲘᲡᲐᲑᲐᲫᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ

საპოროს ოლიმპიადას მიუძღვნა თავისი უჩვეულო ზემარათონული გადარბენა სპორტის ვეტერანმა, პიატიგორსკის № 2 პროფტექსასწავლებლის მასწავლებელმა ი. პროტოპოპოვმა. 65 კმ-ზე მეტი მანძილი კისლოვოდსკიდან მინერალურ წყლებამდე მან 4 საათსა და 32 წუთში გაირბინა.

ი. პროტოპოპოვი 53 წლისაა. მას ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა მძლეოსანთა სამხარეო, რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. იგი „პრავდის" 1971 წლის კროსის ფინალის მესამე პრიზიორია თავის ასაკობრივ ჯგუფში. პროტოპოპოვი არც ზამთრობით წყვეტს რეგულარულ წვრთნას სუფთა ჰაერზე და მისაბაძ მაგალითს აძლევს ახალგაზრდობას.

დ. ᲛᲐᲘᲓᲐᲜᲡᲙᲘ.

ესენტუკი.

# ᲜᲐᲡᲧᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲣᲔᲢᲘ

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘ, 7 თებერვალი (ტელეფონით). წლევანდელი ზამთრის სპორტული სეზონი ბაკურიანისთვის შეჯიბრებებით განსაკუთრებით უხვი გამოდგა. გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზზე სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი ტურნირის შემდეგ აქ თითქმის ყოველ კვირას ასპარეზობა იღებს სტარტს.

აი, ახლაც საქართველოს ზამთრის IV სპარტაკიადა დაიწყო. სარბიელზე გამოდიან „დინამოს", „განთიადის", „სპარტაკის", „კოლმეურნისა" და „ბურევესტნიკის" ნაკრები კოლექტივები, რომელთა ბრძოლაც ოთხ დღეს გასტანს.

წლეულს უჩვეულოდ მკაცრი ზამთარი დაგვიდგა. ეს აქაც იგრძნობა. ყინვას ისიც დაემატა, რომ თითქმის ყოველდღე თოვს. ქარბუქი ხშირად საასპარეზოდ უკვე გამართულ ტრასებს ხელახლა მოსაწყობს ხდის.

მიუხედავად ამისა, სპარტაკიადა გრაფიკით დაიწყო. „დინამოს" ბაზის კალათბურთის მოედანზე გამართული აღლუმის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ სათხილამურო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ლ. გიორგაძე. სპარტაკიადის ალამი გუნდების საუკეთესო წარმომადგენლებმა აღმართეს. ეს იყო გუშინ, დღეს კი ბრძოლა ერთბაშად, როგორც იტყვიან, სამ ფრონტზე გაიმართა. მორბენლები თავიანთ საშინაო საქმეებს აგვარებდნენ, სამთომოთხილამურეები კოხტაგორაზე ასპარეზობდნენ, ხოლო ორჭიდელები 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ცდიდნენ ძალას.

ტურნირებს ლაზათი იმანაც შემატა, რომ შეჯიბრებაში უკონკურსოდ გამოდიოდნენ საბჭოთა კავშირის სტუდენტთა და იუნიორთა ნაკრების წევრებიც. სტუდენტები მსოფლიო უნივერსიადისთვის ემზადებიან (ასპარეზობა ამერიკაში ჩატარდება), ხოლო იუნიორები — კონტინენტის პირველობისთვის, რომელსაც იტალია უმასპინძლებს.

რესპუბლიკის სპარტაკიადის პროგრამის პირველი სახეობა რბოლა იყო. სტარტი ჯერ 30 კმ-ზე მორბენალმა ვაჟებმა აიღეს. მათ 10-კილომეტრიანი წრე სამჯერ უნდა შემოევლოთ. ეს ის ტრასა გახლდათ, რომელზეც საბჭოთა კავშირის თასი გათამაშდა. სპორტსმენებს ბრძოლას ისიც ურთულებდა, რომ თოვდა მთელი ღამე და დილით, სტარტის წინაც. ტრასა ხელახლა გასაკვალი გახდა, ამიტომაც ასპარეზობა ნახევარი საათით დაგვიანდა. განსაკუთრებით დიდი ჯაფა დაადგათ მონაწილეებს პირველ წრეზე, შემდეგ კი სრიალი გაიოლდა. საბოლოოდ, რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვა სპარტაკელმა იაგორ ნასყიდაშვილმა — 1:51.54,0. მას აჯობა მხოლოდ ერთმა სპორტსმენმა, ქვეყნის ნაკრების წევრმა, სპორტის ოსტატმა ი. ბრაგინმა (1:49.06), რომელიც უკონკურსოდ გამოდიოდა. რესპუბლიკური სპარტაკიადის მეორე პრიზიორი გახდა „კოლმეურნის" გუნდის წარმომადგენელი სოლოიანი — 1:53,58. III ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი ზ. გულბანი, რომელიც გამარჯვებულს 4 წუთით ჩამორჩა.

როცა სტარტიდან ვაჟთა შეჯიბრების ბოლო მონაწილე გავიდა, ასპარეზობა დაიწყო 5 კმ-ზე მორბენალმა 18 ქალმა. გამარჯვებისთვის ყველა თავდაუზოგავად იბრძოდა, მაგრამ პირველ თანრიგს ვერავინ შესწვდა. საბოლოოდ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: კ. კეხბა („განთიადი") — 23.38,0, ნ. ბალაშვილი („ბურევესტნიკი") — 24.53,0, თ. პარასტაევა („კოლმეურნე") — 26.43,0.

იმ დროს, როცა მორბენლები დაბლობში ასპარეზობდნენ, კოხტაგორის ფერდობები სწრაფდაშვების ოსტატებს მასპინძლობდა. ბუნებრივი პირობების სირთულის გამო მსაჯთა კოლეგიამ ქალებისა და ვაჟებისთვის ერთნაირი ტრასა მოაწყო (სიგრძე — 1600 მ, სიმაღლეთა სხვაობა — 350 მ). განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ვაჟებს 15 კარი უნდა გაევლოთ, ქალებს — 16.

ქალთა ტურნირს მხოლოდ 9 მონაწილე ჰყავდა. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ამ სახეობაში ქალთა შორის მაინცდამაინც სახარბიელო მდგომარეობა არა გვაქვს. სამაგიეროდ, ვაჟთა შორის პირველობაზე პრეტენზიას 36 სპორტსმენი აცხადებდა. მათგან მხოლოდ 6 მონაწილე მოიხსნა, რადგან საკონტროლო დროს (2 წუთი) გადააცილეს.

საინტერესოა, რომ ვაჟთა ტურნირში ყველას აჯობა სტუდენტთა საკავშირო პირველობიდან წინა საღამოს დაბრუნებულმა იოსებ ნასყიდაშვილმა. მან ტრასა 1 წუთსა და 21,4 წამში დაფარა, ზუსტად 2 წამი მოუგო თანაგუნდელ რ. აკოფოვს. III ადგილი ხვდა დ. თვაურს („კოლმეურნე")—1.25,3.

ქალთა შეჯიბრებაში აშკარა იყო სპორტის ოსტატ ლ. გოგოლაძის („კოლმეურნე") უპირატესობა. გოგოლაძემ, რომელიც სათხილამურო სპორტში ვეტერანად შეიძლება ჩაითვალოს, თანაგუნდელ მ. ცარიტოვას (1.53,5) 5,1 წამით აჯობა.

კვლავ გამოიჩინა თავი დინამოელმა სპორტის ოსტატმა ნ. ომიაძემ, რომელმაც კარგა ხანია მწვრთნელად დაიწყო მუშაობა და შეჯიბრებებში იშვიათად გამოდის. ამჯერად მან თავისი საზოგადოების ინტერესების დასაცავად სცადა ბედი და III ადგილიც დაისაკუთრა — 1.55,2.

ორჭიდელები ბრძოლას ხვალ დაამთავრებენ.

პირველი დღის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში „კოლმეურნე" დაწინაურდა. მას 9 საჯარიმო ქულა აქვს. II ადგილზეა „ბურევესტნიკი" — 11, III — „დინამო" — 12.

ო. ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
სპარტაკიადის მთავარი მსაჯი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სურათებზე: — იაგორ (მარჯვნივ) და იოსებ ნასყიდაშვილები შეჯიბრების დროს.

ავტორის ფოტოები.





ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი ვ. ბალავაძის სახელობის პრიზზე







### თბილისის სპორტის სასახლეში

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ახლახან დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში ბევრი საინტერესო შეხვედრა ჩატარდა. თბილისელი თუ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსული სპორტის მოყვარულები, სპეციალისტები სამი დღის განმავლობაში საბჭოთა და უცხოელ ათლეტთა მაღალი ოსტატობის მოწმენი გახდნენ.

რასაკვირველია, თბილისის სპორტის სასახლეში მოსულთა ყურადღების ცენტრში მაინც ჩვენი რესპუბლიკის ათლეტები იყვნენ, რომელთაგან ბევრმა თავი გამოიჩინა, ჯაჟკაცური ჭიდაობით მოხიბლა თაყვანისმცემლები.

ზედა სურათზე (მარცხნივ) თქვენ ხედავთ ლ. თედიაშვილს, რომლის მეტოქე, ქართველი ფალავნის გამუდმებული იერიშებით გაოგნებული ბულგარელი ი. აბილოვი იძულებულია ხალიჩიდან გაქცევით უშველოს თავს, მაგრამ ლევანი ბულგარელს ხელებით ფეხში ჩააფრინდა, თავისკენ მოქაჩა და ამ მომენტიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ ბეჭებით ხალიჩაზე გააკრა.

მარჯვენა სურათზე თქვენ ხედავთ, რა უმწეო მდგომარეობაშია სსრ კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მძიმეწონოსანი, სიკტივკარელი ვ. პარშუკოვი. ამ მომენტამდე ძნელი იყო დაჯერებით იმის თქმა, თუ ვის დარჩებოდა გამარჯვება. ეს იყო ორი, თითქმის თანაბარი ძალის გოლიათის შეხვედრა, მაგრამ ნ. მოდებაძემ კარგი ტაქტიკური ხერხი იხმარა, როცა მეტოქეს ქანცი გააცალა, მერე კი მედგრად შეუტია. ეს სურათიც კარგად ასახავს პარშუკოვის მძიმე მდგომარეობას.

საერთაშორისო ტურნირს ფრანგი, ბულგარელი, რუმინელი და საბჭოთა არბიტრები ემსახურებოდნენ. მათს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველა შეხვედრა ნორმალურ პირობებში ჩატარდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე მოჭიდავე ან მწვრთნელი შერკინების შედეგით უკმაყოფილო დარჩენილიყო, პროტესტი გამოეთქვა. ქვედა სურათზე აღბეჭდილი არიან ქართველი მსაჯები. მარცხნიდან — ი. ჯოხაძე, გ. სალარაძე, ტურნირის მთავარი მსაჯი ვ. ბალავაძე და ა. გვიმრაძე.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

### მეგობრული შარჟები



ზ. ბერიაშვილი



მ. გალეგლო (აშშ).

გ. ფირცხალავას ნახატები.

## ევროპის რეკორდები

### ძალოსნობა

1972 წლის 5 თებერვლისთვის

| წონა | შედეგი | რეკორდსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| | | **აჭიმვა** | |
| უმჩატესი | 117,5 | ა. გნატოვი (სსრ კავშირი) | 1971 |
| მჩატე | 127,5 | რ. ბელენკოვი (სსრ კავშირი) | 1971 |
| ქვემსუბუქი | 137 | ი. ფიოლდი (უნგრეთი) | 1971 |
| მსუბუქი | 153 | ვ. დრექსლერი (სსრ კავშირი) | 1971 |
| ქვესაშუალო | 165,5 | ა. კოლოდკოვი (სსრ კავშირი) | 1971 |
| საშუალო | 177 | ჩ. პატერკა (პოლონეთი) | 1971 |
| ქვემძიმე | 193,5 | ბ. იუჰანსონი (შვეცია) | 1971 |
| მძიმე | 206 | ი. ტალტსი (სსრ კავშირი) | 1971 |
| ზემძიმე | 230 | ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი) | 1971 |
| | | **ატაცი** | |
| უმჩატესი | 100 | ვ. სმეტანინი (სსრ კავშირი) | 1969 |
| მჩატე | 110 | მ. ნოვაკი (პოლონეთი) | 1970 |
| ქვემსუბუქი | 120 | დ. შანიძე (სსრ კავშირი) | 1970 |
| მსუბუქი | 137,5 | ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი) | 1971 |
| ქვესაშუალო | 143,5 | მ. ტერმი (საფრანგეთი) | 1969 |
| საშუალო | 155 | ჰ. კანგასნიემი (ფინეთი) | 1971 |
| ქვემძიმე | 165 | დ. რიგერტი (სსრ კავშირი) | 1971 |
| მძიმე | 170,5 | ჰ. პერვუშინი (სსრ კავშირი) | 1971 |
| ზემძიმე | 180 | ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი) | 1971 |
| | | **აკვრა** | |
| უმჩატესი | 131 | ა. გნატოვი (სსრ კავშირი) | 1971 |
| მჩატე | 144 | ა. ვახონინი (სსრ კავშირი) | 1967 |
| ქვემსუბუქი | 155 | ი. გოლუბცოვი (სსრ კავშირი) | 1971 |
| მსუბუქი | 175 | ა. კოროლი (სსრ კავშირი) | 1971 |
| ქვესაშუალო | 187,5 | ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი) | 1968 |
| საშუალო | 195,5 | ბ. ივანჩენკო (სსრ კავშირი) | 1971 |
| ქვემძიმე | 207,5 | დ. რიგერტი (სსრ კავშირი) | 1971 |
| მძიმე | 217,5 | ი. ტალტსი (სსრ კავშირი) | 1971 |
| ზემძიმე | 235,5 | ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი) | 1971 |
| | | **სამჭიდი** | |
| უმჩატესი | 340 | ვ. კრიშჩიშინი (სსრ კავშირი) | 1970 |
| მჩატე | 375 | ბ. ჩეტინი (სსრ კავშირი) | 1971 |
| ქვემსუბუქი | 400 | ი. გოლუბცოვი (სსრ კავშირი) | 1971 |
| მსუბუქი | 450 | ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი) | 1971 |
| ქვესაშუალო | 482,5 | ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი) | 1971 |
| საშუალო | 510 | ვ. შარიი (სსრ კავშირი) | 1971 |
| ქვემძიმე | 552,5 | დ. რიგერტი (სსრ კავშირი) | 1971 |
| მძიმე | 585 | ი. ტალტსი (სსრ კავშირი) | 1971 |
| ზემძიმე | 640 | ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი) | 1971 |

## ერთი სახელწოდების დადგენისთვის

ჩვენ მშობლიურ მიწა-წყალს, მის ყოველ კუთხეს, თავისი ისტორია აქვს, რომელიც სახელწოდებაშიც აისახება. უაზრო ტოპონიმები თითქმის არ არსებობს, და, თუ ზოგი მათგანი დღეს არაფერს მიგვანიშნებს, ამაში ბრალი ჟამთა სიავეს მიუძღვის. ამიტომაა, რომ ბევრი თანამედროვე ტოპონიმის ასახსნელად საჭიროა მისი ძველი ფორმის დადგენა. მაგალითად, წყალტუბოს რაიონში არის სოფელი ფარცხანაყანევი. თუ მის ეტიმოლოგიას ამ მნიშვნელობით განვიხილავთ, გამოდის, რომ იგი წარმოებულია ფარცხისა და ნაყანევისგან, ესე იგი ვილაცას ალბათ დაუფარცხავს ნაყანევიო. მაგრამ ასეთი ახსნა არასწორია, რადგან სინამდვილეში სოფლის ძველი სახელწოდება ფარსმანაყანევი ყოფილა. აქედან ჩანს, რომ იგი უკავშირდება ადამიანის სახელს — ფარსმანს და ნიშნავს „ფარსმანის ყანებს“. ასეა ქრცხინვალი — ცხინვალი, ნიკოლაწმინდა — ნიკორწმინდა, ფარციხე — ფარცხისი, სამღერეთი — სამღრეთი, მაღლარი — მაღლაკი, ბაჟი — ბაში, დაბანისა — დმანისი, თეთრჟოლა — თერჯოლა და სხვ.

ასევე შეცვლილი სახელწოდება უნდა იყოს ტოპონიმი კოჯორი. ლიტერატურულ წყაროებში იგი XIV საუკუნის პირველ ნახევარშია მოხსენიებული. 1338 წლის წყალობის სიგელში აღნიშნულია: „კოჟორი გიორგი ბრწყინვალემ უბოძა თორელ ივანე ჯავახიშვილს, მონასტერი ათენაგუენი (კაბენის მონასტერი, კიკეთის აღმოსავლეთით) კოჟორის ძირს“.

ამის შემდეგ, სახელწოდება კოჟორი თანმიმდევრობით იხსენიება 1691 წლის, 1699 და 1716 წლების ისტორიულ საბუთებში, ხოლო ფარსადან გიორგიჯანიძე თავის საქართველოს ისტორიაში წერს: „...იარეს კოჟრისაკენ... კოჟრის ციხის ძირამდისინ მისდიეს და ლამემაც მოუსწრა“. ბერი ეგნატაშვილის მიერ, ახალი ქართლის ცხოვრების პირველ ტექსტში, ტოპონიმი „კოჟორი“ სამ ადგილასაა მოხსენებული. ასევე ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში: „რა გამოხდა წელიწადი ერთი, აშუელა ლაშქარი, მოირთო ძალი და წარმოემართა სომხითისა და ორბეთისა ძირზედა, მომართა ციხესა კოჟორისასა, მოადგა გარე და დაუწყეს ომი და თოფსა სროლა“.

ტოპონიმი „კოჟორი“ ვახტანგ მეექვსის დასტურლამალშიცაა მოცემული, ხოლო ვახუშტი ბატონიშვილი რამდენიმე ადგილას აღნიშნავს კოჟრის შესახებ. ასეა აღნიშნული მის რუკებზეც. მხოლოდ ერთ ადგილას ვახუშტის თხზულებაში უზუსტობაა დაშვებული: „კიკეთს ქვევით ხევსა შინა, არს მონასტერი კაბენისა. ყოფილ არს დედათა, გუნბათიანი, შვენიერი, აწ არის ხუცის სამარ. აღაშენა მეფემან თამარ. სამხრით, მას ზემორ, არს ციხე აზეულასი და აწ (უკანასკნელი სამი სიტყვა დედანში სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული. — ქ. ხ.) კოჟრისა, თხემსა ზედა კლდისასა“, ამის შესახებ ჯერ კიდევ აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, რომ ვახუშტის ეს ცნობა არასწორია, კოჟორი ძველია და თუ ვახუშტიმ ასე აღნიშნა, იმიტომ, რომ ალბათ ადრინდელ ლიტერატურაში კოჟორი არსად შეხვდა და შეცდომით აზეულასთან გააიგივა.

XIII საუკუნის მანძილზე კიდევ რამდენიმე ლიტერატურულ წყაროშია კოჟორზე ლაპარაკი. მის შესახებ წერენ ცნობილი მოგზაური გიულდენშტედტი, სეხნია ჩხეიძე, ნ. დადიანი და სხვ. XIX საუკუნის დასაწყისიდან სახელწოდება „კოჟრის“ ნაცვლად „კოჯორი“ ჩნდება, რაც რუსული დამწერლობის გავლენით უნდა აიხსნას (ამასვე აღნიშნავს მ. ჯანგიძე გაზეთ „ლელოს“ 25 დეკემბრის წერილში). უკვე 1800 წლის თბილისის ხელნაწერ გეგმაზე აღნიშნულია „Коджори“ და აქედან მოყოლებული დღემდე „კოჯრის“ სახელით იხმარება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახელი აზეულა უნდა უარვყოთ შემდეგი მოსაზრებებით:

ა) არც ერთ ლიტერატურულ წყაროში არაა დამოწმებული ტოპონიმი „აზეულა“.

ბ) ვახუშტის გეოგრაფიაში მოხსენებული „აზეულა“ არ უნდა შეესაბამებოდეს კოჟორს, რადგან აქმე გვაქვს ვახუშტის შეცდომასთან, იმიტომაც, რომ სიტყვა „აზეულა“ დედანში შემდეგაა ჩამატებული. ჩვენი დაკვირვებით, ეს სახელი ან სხვა ადგილს ეკუთვნოდა ან კიდევ ოფიციალურად არ იხმარებოდა;

გ) კოჟორი საკმაოდ ადრეა ლიტერატურულ წყაროებში მოხსენებული (1338 წ.) და იგი არავითარ სხვა სახელს არ საჭიროებს.

დ) კოჟორი წარმოებულია ქართული სიტყვისგან „კოჟრი“, „კოჟრისა“-გან, რაც ნიშნავს ხის ნუჟრს, ხის კორძს.

ამრიგად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღდგეს ძველი ტოპონიმი კოჟორი: ახლანდელ სოფელ კოჯრის, ციხე ქოროღლის, გეორგერის ხევის და სოფლის მოსაზღვრე მთის სახელის ნაცვლად, რომელთაც წარსულში კოჟორი ეწოდებოდა.

ქ. ხარაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტი.

## „ლელოს“ გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ახლახან რედაქციაში შემოვიდა ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვნის საშუალო სკოლის მოსწავლეთა წერილი. მოსწავლეები ჩიოდნენ, რომ სკოლის სპორტდარბაზი მოუვლელია და იქ მეცადინეობა შეუძლებელია. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომს. როგორც რაიკომის მეორე მდივანი დ. ნაროზაული გვატყობინებს, მოსწავლეთა წერილი ძირითადად შეეფერება სინამდვილეს. გამოყოფილია საჭირო თანხები. სკოლის სპორტდარბაზი წლეულს შეკეთდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი · შაში · ჭადრაკი

[illegible]

# საჭაშნიკოდ

გამოჩენილი საბჭოთა პრობლემისტი გ. უმნოვი ყოველკვირეულ „64“-ის მე-4 ნომერში (1972 წ. 28 იანვარი-3 თებერვალი) სამართლიანად აღნიშნავს, რომ საქართველოში არიან ნიჭიერი პრობლემისტები, რომელთა მრავალსვლიანმა ამოცანებმა საერთაშორისო აღიარება ჰპოვა. თავისი მოსაზრების საბუთად უმნოვს საბჭოთა და საზღვარგარეთის ქვეყნების კონკურსებში დაჯილდოებული ჩვენი პრობლემისტების ო. ტაბიძის, რ. თავარიანის (ორივე — თბილისი), ი. კრიხელის, შ. სუხიტაშვილის, ვ. დადიანიის (სამივე — გორი), ვ. სავჩენკოს (ტყიბული) და ჯ. მახათაძის (ზესტაფონი) ამოცანები მოჰყავს. მოსკოველი პრობლემისტი საქართველოს კოლეგებს შემდგომ წარმატებებს უსურვებს.

სწორედ ამ სასიამოვნო აღიარების დროს გვსურს კომპოზიციის მოყვარულებს გავაცნოთ ორი ახალი მზარდი პრობლემისტი ო. ოზოლაძე და ზ. გოგიშვილი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები.

ოზოლაძემ თავისი შემოქმედებითი გზა ტყიბულის რაიონის სოფელ ტრესილში დაიწყო, გოგიშვილმა — ბორჯომში. ჭაბუკები გატაცებით მონაწილეობდნენ ამოცანებისა და ეტიუდების ამომხსნელთა სხვადასხვა კონკურსში, სადაც ინტერესით ეცნობოდნენ კლასიკოსებისა და თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებებს. მერე თავადაც სცადეს ამოცანების თხზვა. ეს გატაცება არც ინსტიტუტში განელებიათ.

საჭაშნიკოდ გთავაზობთ ახალბედა პრობლემისტების თითო ამოცანას. მათი ნამუშევრები პირველად იბეჭდება გაზეთში და გვინდა მათი ეს დებიუტი მომავალი დიდი შემოქმედებითი წარმატებების საწინდარი იყოს.

თ. გიორგაძე.

ო. ოზოლაძე



შამათი სამ სვლაში

ზ. გოგიშვილი



შამათი ხუთ სვლაში

## თბილისის ნორჩი ჩემპიონები

დამთავრდა თბილისის მოსწავლეთა საჭადრაკო ჩემპიონატები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ბავშვთა საჭადრაკო სპორტსკოლის, რკინიგზის მხატვრული აღზრდის სახლის, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლისა და რესპუბლიკური ექსპერიმენტული საშუალო სკოლის მოჭადრაკეთა წრეების აღსაზრდელები.

გოგონათა ტურნირში 11 მოსწავლე თამაშობდა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა 102-ე სკოლის მოსწავლე მ. მამისთვალოვამ (მწვრთნელი პ. ხიზანიშვილი) — 7,5 ქულა. ქ. გაჩეჩილაძემ (მწვრთნელი ა. წერეთელი) 1-ლი სკოლიდან და მ. კალანდაძემ (მწვრთნელი ო. ალხანიშვილი) 54-ე სკოლიდან 7-7 ქულა მოაგროვეს. კოეფიციენტთა ცხრილით II ადგილი გაჩეჩილაძეს ხვდა. კალანდაძემ პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

ჭაბუკთა ტურნირში ჩემპიონობას 16 მოსწავლე ეცილებოდა ერთმანეთს. უძლიერესის სახელი დაისაკუთრა 67-ე სკოლის მოსწავლე ზ. თანდაშვილმა (მწვრთნელი გ. კაზარიანი) — 11 ქულა. II ადგილი დაიკავა 130-ე სკოლის წარმომადგენელმა ზ. ბურჭულაძემ (მწვრთნელი თ. ლომაია) — 10,5 ქულა. III ადგილზე გავიდა (კოეფიციენტთა ცხრილის მიხედვით) მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე ე. ეფიმოვი (მწვრთნელი მ. შიშოვი) — 9,5 ქულა.

ქებით უნდა მოვიხსენიოთ ნორჩი მოჭადრაკე გოგონები ლ. თანდაშვილი (მწვრთნელი გ. კაზარიანი), დები ქ. და ნ. მელაშვილები, ნ. გურიელი (მწვრთნელი შ. ინწკირველი).

ს. მეგრელიშვილი,
თბილისის ბავშვთა საჭადრაკო სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

* * *

სურათებზე: თბილისის ნორჩი ჩემპიონები მ. მამისთვალოვა და ზ. თანდაშვილი.





## ლიდერობს ტრიუმვირატი

მეორე კვირაა ლაგოდეხში მიმდინარეობს საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. ფინალის სამი საგზურისთვის იბრძვიან: ოსტატობის კანდიდატები ლ. კერნოჟიცკი (ბათუმი), ი. მანაშეროვი (ხაშური), ა. გიორგაძე (სოხუმი), მ. ფრიდინსკი (თბილისი), გ. კუთარაშვილი (გორის რაიონი), გ. ბიბილაშვილი (გარდაბანი), პირველთანრიგოსნები ნ. ლობჟანიძე (წითელი წყარო), ა. ბალავაძე, თ. ფერაძე (ორივე — რუსთავი), დ. კევლიშვილი (გორის რაიონი), ზ. ლვინიაშვილი, დ. მაისურაძე (ორივე — ლაგოდეხი), ზ. იორამაშვილი (ყვარელი), ზ. გოგოლაძე (ახალციხე), რ. დადიანი (სოხუმი) და პ. კირვალიძე (თელავი).

7 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ბიბილაშვილი, ფრიდინსკი, ბალავაძე — 5-5 ქულა, დადიანი — 4,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, კერნოჟიცკი — 4,5, მანაშეროვი და ლობჟანიძე — 4-4.

ტურნირი 12 თებერვლამდე გასტანს.

თ. გვარჯალაძე,
ნახევარფინალის მთავარი მსაჯი, ოსტატობის კანდიდატი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ლაგოდეხი.



## შინიშის სწორზე

გრძელდება საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში. გათამაშდა კიდევ სამი (XI, XII, XIII) ტური. გ. ბარამიძე (სოხუმი) — ბ. შავერდიანის (თბილისი) სპორტული დუელი არც ამ ტურებში შენელებულა. XIII ტური სოხუმელი ოსტატისთვის ნავსიანი აღმოჩნდა — იგი პირველად დამარცხდა. ერთპიროვნული ლიდერობა ხელთ იგდო ჭაბუკმა თბილისელმა მოშაშემ: მას 12 ქულა დაუგროვდა. გ. ბარამიძეს 11 ქულა აქვს.

ლიდერებს კვალში მიჰყვებიან ი. სპესივცევი (თბილისი) — 9 ქულა, თ. ბარამიძე (რუსთავი), ს. თომაშვილი და გ. ამირხანოვი (ორივე — თბილისი) — 8-8.

გთავაზობთ საანგარიშო ტურების შედეგებს:

XI ტური. თ. ბარამიძე — მ. იორამაშვილი (ბათუმი) 0,5:0,5, ბ. კუჩეროვი — ნ. ძამუნაშვილი 0:1, პ. ყაჭეიშვილი (სამივე — თბილისი) — ზ. კოკოევი (ცხინვალი) 0,5:0,5, ვ. ინწკირველი—ი. სპესივცევი 0:1, ნ. ხუციშვილი (სამივე—თბილისი)—ა. კონჯარია (ფოთი) 0:1; შავერდიანი — გ. ბერუაშვილი (თბილისი) 1:0, ამირხანოვი — გ. ბარამიძე 0:1, ე. რომანოვი (სოხუმი) — თომაშვილი 0,5:0,5.

XII ტური. იორამაშვილი — ამირხანოვი 0:1, ძამუნაშვილი — თ. ბარამიძე 0:1, კოკოევი — კუჩეროვი 1:0, სპესივცევი — ყაჭეიშვილი 0:1, კონჯარია — ინწკირველი 0,5:0,5, შავერდიანი — ხუციშვილი 1:0, გ. ბარამიძე — რომანოვი 1:0, ბერუაშვილი — თომაშვილი 0,5:0,5.

XIII ტური. რომანოვი — იორამაშვილი 1:0, ამირხანოვი — ძამუნაშვილი 1:0, თ. ბარამიძე — კოკოევი 1:0, კუჩეროვი — სპესივცევი 0:1, ყაჭეიშვილი — კონჯარია 0:1, ინწკირველი — შავერდიანი 0:1, ხუციშვილი — ბერუაშვილი 1:0, ს. თომაშვილი — გ. ბარამიძე 1:0.

შეჯიბრების დამთავრებას ორი ტური აკლია. ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტების შავერდიანისა და გ. ბარამიძის მეტოქეები არიან შესაბამისად: ყაჭეიშვილი და კუჩეროვი, ბერუაშვილი და იორამაშვილი.

თ. ნინოშვილი.

* * *

სურათზე: სოხუმელ ოსტატ გ. ბარამიძისა (მარცხნივ) და თბილისის ჩემპიონ გ. ამირხანოვის შეხვედრა.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## შესარჩევი ტურნირები

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, გრძელდება საქართველოს მოჭადრაკეთა ოლიმპიური გუნდის შესარჩევი ტურნირები.

ვაჟთა შეჯიბრებაში 4 ტურის შემდეგ ლიდერობს ზ. მიქაძე — 3,5 ქულა. მან სძლია ვ. ვეფხიშვილს, ა. იზვოზჩიკოვსა და ა. ბოკუჩავას. ე. უბილავას აქვს 1,5 ქულა და იზვოზჩიკოვთან გადადებული პარტია.

ქალთა ტურნირში შესანიშნავად თამაშობს თ. კაჭარავა. მას 4-დან 3,5 ქულა აქვს. ა. ჩაიკოვსკაიამ 3 ქულა მოაგროვა, თ. ხუგაშვილმა — 2,5, საქართველოს ჩემპიონმა ს. კალანდარიშვილმა და მ. წერეთელმა — 2-2.

ჭაბუკთა ტურნირში ლიდერობს საქართველოს ჩემპიონი გ. ზაიჩიკი — 2,5 ქულა 4-დან. გ. მაჭარაშვილს 2 ქულა აქვს.

## მოკლედ

● **ლისაბონი.** პორტუგალიის ჩემპიონატის № 1 თავდამსხმელია ა. ხორხე („ბენფიკა“), რომელმაც 11 შეხვედრაში 11 ბურთი გაიტანა. II ადგილზეა ფლავიო („პორტო“) — 10 ბურთი, III — ბაპტისტა („ბენფიკა“) — 8.

● **ბერნი.** უეფა ამიერიდან ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და უეფა-ს თასების გათამაშების მატჩებში სადოპინგო კონტროლის დაწესებას აპირებს.

● **რომი.** იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ცნობაში ნათქვამია, რომ ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ხუთ ტურში მინდვრიდან არავინ გაუძევებიათ.

● **რიო-დე-ჟანეირო.** ბრაზილიის სპორტული ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად ბოლო ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულია რიველინო.

● **ბუდაპეშტი.** 300 კალენდარული მატჩი ჩაატარა უნგრეთის ჩემპიონატებში 30 წლის ფ. ალბერტმა. მის ანგარიშზეა 242 გოლი.

● **ბრიუსელი.** ბელგიის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულია „ბრიუგეს“ მოთამაშე ვან დერ ელსტ. II ადგილზეა ვან ჰიმსტი („ანდერლეხტი“), III — პიო (ლიეჟის „სტანდარდი“).

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### „ინგლისელთა კრიზისი? — სასაცილოა!“

ასე განაცხადა იტალიის ეროვნული გუნდის ხელმძღვანელმა ფ. ვალკარეჯიმ მას შემდეგ, რაც ინგლისელებმა ათენში დაამარცხეს საბერძნეთის ნაკრები. ვალკარეჯიმ თქვა, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონები მოეწონა. „ისინი თამაშობდნენ, როგორც სურდათ და გაიმარჯვეს კიდეც“.

### მიუწვდომელი რეკორდი

ინგლისის ჩემპიონატების დღემდე მიუწვდომელი რეკორდი ეკუთვნის ომამდე კარგად ცნობილ თავდამსხმელს დიქსი დინს, რომელიც „ევერტონში“ თამაშობდა. მან 1927-28 წლების სეზონში 60 (!) გოლი გაიტანა. ამ რეკორდს ახლოსაც ვერავინ მიუდგა.

### ბუმერანგი

შვეიცარიის პირველობაზე II ლიგის ერთ-ერთი მატჩი მიმდინარეობდა. მსაჯი ფრიად ობიექტური იყო, მაგრამ მასპინძელი გუნდის გულშემატკივრები მაინც უკმაყოფილებას გამოხატავდნენ, არბიტრის ყოველ ნაბიჯში მიკერძოებას ხედავდნენ, ყიჟინას სცემდნენ და გაუთავებლად უსტვენდნენ. მასპინძელთა ფეხბურთელებმაც თავი აიშვეს. განსაკუთრებით უხეშად იქცეოდა ერთ-ერთი თავდამსხმელი, რომელიც წამდაუწუმ აკრიტიკებდა არბიტრის გადაწყვეტილებას.

ერთმა მაყურებელმა მსაჯს ლუდის მოზრდილი კათხა ესროლა. ამ უკანასკნელმა იგი აიცდინა, მერე არც აცივა, არც აცხელა, აიღო მიწიდან ეს კათხა და მასპინძელთა ყველაზე აბეზარ თავდამსხმელს თავში უთავაზა.

### მეორე პროფესიონალური ლიგა

დღეისთვის დასავლეთ გერმანიაში მხოლოდ ერთი პროფესიული ლიგაა, ეგრეთ წოდებული ბუნდესლიგა. დანარჩენი გუნდები ფორმალურად მოყვარულთა კოლექტივებად ითვლებიან.

ახლა გფრ-ის საფეხბურთო კავშირმა გადაწყვიტა მომავალი სეზონიდან რესპუბლიკაში კიდევ ერთი, მეორე პროფესიული ლიგა შექმნას.

### საიდან სადაო...

ირლანდიის კლუბ „შორტადოუნში“ თამაშობს... ჩინელი ფეხბურთელი იან ფაი-ვონგი, რომელიც კლუბის წამყვანი თავდამსხმელი და მეკარეთა რისხვაა.

საიდან მოხვდა იგი ირლანდიაში? იან ფაი-ვონგი პროფესიით მზარეულია და ამ ქალაქის ჩინურ რესტორანში მუშაობს. იანი ფეხბურთის დიდი მოყვარული გამოდგა და ადგილობრივი კლუბის მწვრთნელიც დარწმუნდა, რომ მისგან გვარიანი მოთამაშე გამოვიდოდა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

## თბილისის სპორტული [illegible]

**შაში.** ცენტრალური საშაშო-საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. 48). 9 თებერვალი. ოსტატობის კანდიდატ ვ. ინწკირველის ლექცია „ა. ანდრეიკო — ი. კუპერმანის მატჩი მსოფლიო პირველობაზე“, ერთდროული თამაშის სეანსი. დასაწყისი 19 ს. 10-12 თებერვალი. საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში. დასაწყისი 16 ს.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. 48). 9-17 თებერვალი. საქართველოს ოლიმპიური გუნდის კანდიდატ ვაჟთა, ქალთა და ჭაბუკთა ტურნირები. დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 | საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04436